

მაღალმთიანი რეგიონებიდან მიგრაციისა და კვლავ დაბრუნების პროცესის
ფენომენოლოგიური ანალიზი რაჭის რეგიონიდან მიგრირებული და კვლავ
დაბრუნებული მოსახლეობის მაგალითზე

ირაკლი რეხვიაშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ დალაქიშვილი,

დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019 წელი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ირაკლი რეხვიაშვილი 23.01.2019 წ.

სარჩევი

აბსტრაქტი.....	3
შესავალი.....	4
ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
<i>მიგრაცია რაჭის რეგიონიდან, ისტორიული ანალიზი და გამოცდილების აღწერა....</i>	8
საკითხის კვლევის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება	11
თეორიული ჩარჩო.....	14
<i>ფენომენოლოგია ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში-შუცის მეთოდი.....</i>	14
<i>ფენომენოლოგიური სოციოლოგია</i>	15
მეთოდოლოგია.....	29
<i>კვლევის დიზაინი.....</i>	29
<i>სამიზნე ჯგუფი</i>	30
<i>შერჩევა.....</i>	30
<i>შეზღუდვები.....</i>	32
ინსტრუმენტი.....	33
<i>შესავალი.....</i>	33
კვლევის მიგნებები.....	35
მიგრაციის და დაბრუნების push and pull ფაქტორების ანალიზი	42
დასკვნა	44
დანართი.....	58
<i>ინტერვიუ # 1.....</i>	58
<i>ინტერვიუ #2.....</i>	61
<i>ინტერვიუ # 3.....</i>	64
<i>ინტერვიუ # 4.....</i>	69
<i>ინტერვიუ #5.....</i>	70
<i>ინტერვიუ #6.....</i>	73
გამოყენებული ლიტერატურა.....	80

აბსტრაქტი

მაღალმთიანი რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაცია და მისი დაცლა ამ რეგიონებისათვის და მთლიანად ქვეყნისათვის დიდ ცვლილებებთანაა დაკავშირებული. მოსახლეობის მაღალმთიანი რეგიონებიდან გადინება როგორც ურბანიზაციის შემადგენელი და წამახალისებელი ფაქტორიცაა ბევრ სოციალურ პრობლემას ქმნის.

წინამდებარე კვლევაში განხილულია მაღალმთიანი რეგიონებიდან მიგრირებული მოსახლეობის პროცესის, როგორც ამ რეგიონების შესაძლო გადარჩენის ანალიზი და მისი ფაქტორები მიგრაციის კვლევის სტრატეგიასთან დაკავშირებით. საკვლევ მასალად გამოყენებულია იმ ადამიანთა გამოცდილება, ყოველდღიურობა და ნაამბობი, რომელიც მნიშვნელოვანია და შემხებლობაშია რეგიონის დაცლისა და მიგრაციის თემასთან.

როგორც რეალურად არსებული მდგომარეობიდანაც ცანს კვლევის შედეგები საკმაოდ მძიმე სურათს იძლევა, რადგან მაღალმთიანი რეგიონები ამჟამად დაცლის პიკზეა და ბევრი დასახლებული პუნქტი გაქრობის პირას იმყოფება წინამდებარე კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მიგრაციული განწყობა რეგიონში კვლავ შენარჩუნებულია და დაბრუნების ის გამოვლინებები რომელიც სახეზე შეინიშნება არ არის საკმარისი რეგიონების გასაცოცხლებლად და მათი გარემო პირობები კვლავ დაკავშირებულია იმ ფაქტორებთან რაც მოსახლეობის მიგრაციას განაპირობებს.

წინამდებარე კვლევა თავის მცირე მასშტაბის გამო ეყრდნობა ფენომენოლოგიური დაკვირვებისა და დგილზე გაცნობილი სიტუაციის ანალიზს, დაბრუნების პრაქტიკისაკენ მიმართული კვლევა მომავალშიც საინტერესო იქნება რეგიონის დაცლისა და მიგრაციის პროცესთან მიმართებაში, რადგან შიდა მიგრაციაში მყოფი ადამიანების უმეტესობა მაღალმთიანი რეგიონის დატოვების გადაწყვეტილებას იღებს სამუშაოს არ არსებობის გამო ახალგაზრდა ასაკში. წინამდებარე კვლევა ჩატარდა რაჭის რეგიონში დაბრუნებული მოსახლეობის გამოცდილების ანალიზზე, მომავლისათვის ასევე საინტერესო იქნება ამჟამად მიგრაციაში მყოფი ადამიანების დამოკიდებულების კვლევა დაბრუნების პროცესთან მიმართებაში.